ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

სანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის სექტემბრიდან დღემდე პერიოდს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შექმნილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 23 -ე მუხლის შესაბამისად. კომისია მუშაობას წარმართავს ამ დებულების და საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

კომისიაში გაწევრიანებულია საკრებულოს 12 დეპუტატი. კომისიის სხდომები ძირითადად მიმდინარეობს დეპუტატების აქტიური ჩართულობით. კომისიის მუშაობაში აქტიურ საქმიანობას ეწევიან როგორც უმრავლესობის ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 13 სხდომა. სხდომებზე განხილული იქნა 18 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში დაგვეწერა 98 კორესპოდენცია და წერილი რომლებზედაც რეაგირება განხორციელდა ვადების სრული დაცვით.

სხდომებზე სხვადასხვა დროს მოწვეული იყვნენ მერიის თანამდებობის პირები, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, ასევე მოხდა 2024 წლის რეგიონალური განვითარების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგარამით გათვალისწინებული პროექტების და იდეების მოწონება. კომისიის სხდომაზე განხილული იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წარმოდგენილი პროექტები. დადგინდა სახელმწიფო და

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

კომისიამ მოისმინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის და ა(ა)იპ ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული სამსახურების მუშაობა შეფასდა დადებითად.

კომისიის სხდომაზე ასევე განხილული იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

2024 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტს გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 6128 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 2024 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 12 296 კვმ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, აგრეთვე დარეგისტრირდა 8 ერთეული შიდა საუბნო გზა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 5 ერთეული უძრავი ქონება, განხორციელდა 6 ერთეული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება და 7 ერთეული უძრავი ქონების დაყოფა. ასევე გაფორმდა უზუფრუქტის 7 ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულია იჯარის 2 ხელშეკრულება.სულ ამ პერიოდში იჯარის გადასახადიდან შემოსული თანხა შეადგენს 102 721 ლარს. ასევე პრივატიზაციის შედეგად შემოსულია 2200 ლარი.

მუნიციპალიტეტში გაფორმებულია დასუფთავების მოსაკრებლის 128 ხელშეკრულება საიდანაც შემოსული თანხა შეადგენს 75615 ლარს.

საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობისათვის საამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება მოხდა 23 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტზე. საამშენებლო პროექტების შეთანხმება მოხდა 29 სხვადასხვა ობიექტზე, ხოლო 17 ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. საანგარიშო პერიოდში მშენებლობის მოსაკრებლებიდან ბიუჯეტში შემოსულია 7824 ლარი, ექსპლუტაციაში მიღებისათვის ვარგისად იქნა აღიარებული 9 ერთეული შენობა ნაგებობა. სხვადასხვა დროს განხორციელდა გარე ვაჭრობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, უკანონო გარე მოვაჭრეები გადამისამართებული იქნენ გარე ვაჭრობისთვის გამოყოფილ ადგილზე.

ასევე გამოვლინდა სანებართვო პირობების დარღვევის 8 შემთხვევა. ჯარიმის თანხამ შეადგინა 1200 ლარი.

2024 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველი და მეორე ეტაპით ჯამში გამოეყო 6 051 271 ლარი, დაფინანსდა 36 პროექტი. დაფინანსებული 36 პროექტიდან 32 იყო გარდამავალი 2023-2024-2025 წლები. აღსანიშნავია, რომ ტენდერების გამოცხადება მოხდა ძალიან სწრაფად, შესაბამისად სწრაფადვე მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება, რის გამოც მუნიციპალიტეტმა მიიღო დამატებით ბონუსი ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიებთან ერთად რამაც საშუალება მისცა მუნიციპალიტეტს განეხორციელებია დამატებითი სამუშაოები სოფელ ჯაფარეულის გზაზე. აღნიშნული გამოწვეულია მერიის და შესაბამისი სამსახურების კარგი მუშაობის შედეგად, კერძოდ საჭიროებისამებრ დროულად მოხდა პოექტების გამოყოფა, გადაფასება და სატენდეროდ მომზადება. პირველ ეტაპზე შერჩეული 36 პროექტიდან 36 პროექტი დასრულდა გეგმა გრაფიკის შესაბამისად. პროექტების მიმდინარეობისას, კომისიის და მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ზედამხედველობა როგორც ხელშეკრულების ვადების ასევე ხარისხის დაცვის მიზნით. აუცილებლად აღსანიშნავია ის

ფაქტი რომ პროექტები რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2025 წელს უმეტესობა შესრულდა წინსწრებით 2024 წელში. წინსწრებით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 3 100 000 ლარი, აღნიშნული თანხის გამოყოფაზე მოთხოვნა წარედგინება შესაბამის სამინისტროს, გამოიყო თანხის ნაწილი 1 100 000 რამაც მოგვცა საშუალება 2025 წლის პროექტებში გამოთავისუფლებულიყო 1 100 000 ლარი, რაც იძლევა საშუალებას მეტი ახალი პროექტების განხორციელებისა.

2024 წელს რაგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 8 398 103 ლარმა, რაც თითქმის 2 000 000 ლარით მეტია წინა წელს გამოყოფილ თანხაზე. წლის ბოლოს საკასო შესრულებამ შეადგინა 100 %. რამდენიმე წლიანი წარმატებით განხორციელებული პროექტების გამო მუნიციპალიტეტს მომავალი წლის ლიმიტი გაეზარდა 26 % - ით რაც საშუალებას იძლევა მოხდეს დამატებით პროექტების განხორციელება. აღნიშნული ზრდის პროცენტით ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოწინავეა მუნიციპალიტეტებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე ჯამში დაფინანსდა 36 პროექტი. პროექტები მოიცავს ძირითადად გზების რეაბილიტაციას, 1 პროექტი მიეკუთვნება სპორტულ ინფრასტრუქტურას რომლის ფარგლებში მოეწყობა მინი სტადიონი და ერთი პროექტი მოიცავდა თაბუკაშვილის და დეკანოსიძის ქუჩაზე მდებარე კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია. პროექტების შესრულება მოხდა სრულად 100 %.

2025 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის # 1955 (31,12,2024) განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პირველ და მეორე ეტაპზე ჯამში გამოეყო 6 652 643 ლარი, დაფინანსდა 46 პროექტი. დაფინანსებული 46 პროექტიდან 42 იყო გარდამავალი 2024-2025-2026 წლებში. ამ დროისათვის 37 პროექტი დასრულებულია, 2 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, 7 პროექტზე მიმდინარეობს ტენდერი. წინსწრებით 8 პროექტზე დასრულებულია 1 000 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოები.

2024 წელ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის განკარგულებით

გამოეყო 500 000 ლარი, დაფინანსდა ორი პროექტი: სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია და სოფელ ზვარეში საუბნო გზების რეაბილიტაცია. ორივე პროექტზე გაფორმდა გარდამავალი ხელშეკრულება რომლის ჯამურმა ღირებულებამ მიაღწია 986 577 ლარს, 2024 წელს უნდა მომხდარიყო 500 000 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება 2025 წელს კი პროექტის დასრულება. მოხდა სამუშაოების წინსწრებით ორივე ეტაპის დასრულება სოფელ ზვარეში, რის გამოც მუნიციპალიტეტს ფონდიდან დაემატა თანხა და გამოყოფილი თანხა გაიზარდა 907 777 ლარამდე. რაც შეეხება 2025 წელს ფონდიდან არ მომხდარა ახალი პროექტის დაფინანსება, დაფინანსდა მხოლოდ გარდამავალი პროექტი სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია 270 000 ლარი რომლის სამუშაოები უკვე დასრულებულია.

2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების გაზრდის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა თანადაფინანსება 144 000 ლარით და ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 034 000 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრებები. მოსახლეობის მიერ შეირჩა 145 პროექტი, მათ შორის გზების 38 პროექტი - ღირებულებით 225 000 ლარი, გარე განათების 35 პროექტი - 220 100 ლარი, წყლის სისტემების 39 პროექტი - 144 500 ლარი, სასაფლაოების შემოღობის 15 პროექტი - 85 000 ლარი და სხვადასხვა კატეგორიის 17 პროექტი. ასევე აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა წესი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების ჩაბარებისას ობიექტების შემოწმებას რომელსაც ესწრება მოსახლეობა და შესაბამისი სოფლის დეპუტატი რომლებიც ხელს აწერენ ადგილზე შედგენილ აქტს.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 1 168 400 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 278 400 ლარი./ დაფინანსდა 164 პროექტი. ამ დროისათვის ხელშეკრულებების 90 % გაფორმებულია, რომლებზედაც მიმდინარეობს სამუშაოები, უკვე დასრულებულია 52 პროექტი. დანარჩენი ყველა პროექტი დასრულებული იქნება შემოდგომაზე.

2024 წელს სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტს. დაზიანდა როგორც კერძო მოსახლეობა ასევე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურული ობიექტები. თანხის გამოყოფა მოხდა რამდენიმე ეტაპად ჯამში 1 625 000 ლარი. განხორციელდა 22 პროექტი, რომელთაგან ყველა დასრულებულია საკასო ხარჯით. 2024 წელს ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს დაზიანებული სახურავების აღსადგენად გადაეცათ ხე-მასალა და პროფნასტილი ჯამში 17 000 კვმ. დაკმაყოფილდა 130 ოჯახი. 2024 წელს სტიქიის შედეგად ისევ დაზარალდა როგორც კერძო მოქალაქეების კუთვნილი შენობა ნაგებობები ასევე საგზაო ინფრასტრუქტურა.ზარალის დადგენის მიზნით მუნიციპალიტეტში შეიქმნა კომისია რომელმაც შეისწავლა 130 მოქალაქის საცხოვრებელი სახლების მდგომარეობა, მეწყერსაშიში ზონებიდან სხვადასხვა სოფლებში მოხდა 23 ოჯახის განსახლება ქირით უსაფრთხო ზონაში, რეკომენდაციების მიზნით კი მიემართა გეოლოგიის დეპარტამენტს. ასევე დაზიანდა ადმინისტრაციული შენობები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტერა, იდენტიფიცირებული იქნა 49 მეწყერი რომელიც იწმინდებოდა მყისიერად. 2025 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი იქნა 1 120 000 ლარი, რომლითაც დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები, ჯამში 11 პროექტი რომელთაგან 4 დასრულებულია 7 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები. მიმდინარე წლის თებერვალ მარტის თვეში განვითარებულმა სტიქიამ (დიდთოვლობამ) დიდი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, უმოკლეს დროში შესწავლილი იქნა 252 განაცხადი, ძირითადად დაზიანება ეხებოდა სახლის სახურავებს. ჯამში დაზიანდა 12 000 კვმ ფართობი. მონაცემები წარდგენილია შესაბამის უწყებაში დაფინანსების მისაღებად.

მიმდინარე წელს სტიქია განვითარდა სოფელ ხემაღალში და სოფელ ღვერკში, ამ ეტაპზე გეოლოგიური დასკვნა მომზადებულია 63 ოჯახზე რომლების ექვემდებარება უსაფრთხო ადგილზე გაყვანას. აქედან 39 ოჯახი არის მუდმივად მცხოვრები. ამ დროისათვის ყველა ოჯახი გაყვანილია ქირით. მუნიციპალიტეტის მიერ 35 ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით, ასევე მერის სარეზერვო ფონდიდან 500 ლარის ოდენობით. 30 ოჯახს მერია დაეხმარა საკვები პროპდუქტებით. გარდა ამისა ადგილმონაცვლეობის პროცესში გაეწიათ დახმარება როგორც

მუშახელით ასევე სატრანსპორტო საშუალებით. ამჟამად ადგილზე მუშაობს გეოლოგების ჯგუფი და დასკვნა უახლოეს მომავალში დაიდება.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით 2024 წლის 23 ივლისის # 1025 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 222 610 ლარი, სამუშაოების მოცულობის გაზრდის მიზნით მოხდა თანადაფინანსების განსაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 157 884 ლარით ჯამში 380494 ლარი. დაფინანსდა 30 პროექტი რომლებიც ინიცირებული იყო მოქალაქეების მიერ და საჭირო იყო პრობლემების სწრაფად მოგვარება. ასევე მიმდინარე წელს აღნიშნული კუთხით მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს წინა წლის ანალოგიური თანხა 380 494 ლარი, პროექტები განხორციელდება მოხდება განკარგულების მიხედვით შერჩევის წესით.

2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ძირითადად განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული გადაუდებელი აუცილებლობით აღსადგენი ობიექტების და სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების დაფინანსება რომლებიც უკვე დასრულებულია. მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მობილიზებული იქნა თანადაფინანსებებშიც: 278 400 ლარით დაფინანსდა სოფლის მხარდაჭერის პროექტები. 157 000ლარით მოხდა მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსება. ასევე მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებაც, მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის პრინციპით, ამჟამად მიმდინარეობს 2024 წელში გამარჯვებული პროექტების განხორციელების ეტაპი და დასრულდა 2026 წელში განსახორციელებელი პროექტების ხმის მიცემა. ადგილობრივი ბიუჯეტით ამ ეტაპზე 16 ობიექტზე მიმდინარეობს 1 070 000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი სხვადასხვა მიმართულებით რომელთა მარშრუტები ყოველწლიურად იზრდება. ასევე მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 322 მიმართულებაზე.

ასევე მუნიციპალიტეტის მიერ აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან და საავტომობილო გზების

დეპარტამენტთან. დასრულდა სოფელ ვაშლევის სკოლის რეაბილიტაცია - 2 000 000 ლარი, ასევე დასრულდა სოფელ კიცხის ახალი ბაღის მშენებლობა 1 278 333 ლარი. აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე რომლის ღირებულება შეადგენს 96 309 126 ლარს. სამუშაოები მარტის თვეში უნდა დასრულდეს. ასევე დასრულდა სამუშაოები ლიჩი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზის მშენებლობაზე, პროექტის ფარგლებში სოფელ ნადაბურში მოეწყო ხიდი და გზა, აღნიშნული პროექტი დააკავშირებს ორ მუნიციპალიტეტს. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9 876 999 ლარს. ასევე დასრულდა საამშენებლო სამუშაოები სოფელ ხევის საბავშვო ბაღის მშენებლობაზე რომელსაც აწარმოებს ჩინური კომპანია. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები.

კომისია შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობით, ადგილზე ვეცნობოდით ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს როგორც მერიასთან ასევე საკრებულოს სხვა კომისიებთან. რამდენჯერმე გაიმართა კომისიის ერთობლივი სხდომები. მონაწილეობას ვღებულობდით სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

კომისია ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ისე როგორც საკრებულოს თავმჯდომარის დავალებებს და გადაწყვეტილებებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ კვირიკაშვილი

.